პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYAŠČIHSJA GRUZINSKOJ SSR

შაბათი, 29 ივლისი, 1944 წ. № 153 (7096). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებმაც გადალახეს მდინარე სანი, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და სატანკო შენაერთების, ცხენოსანი და ქვეითი ჯარის შემოვლითი მანევრის შედეგად დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე პერემიშლი და ქალაქი იაროსლავი — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძები და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც კრაკოვისაკენ მიმავალ გზებს იფარავენ.

ქალაქების პერემიშლისა და იაროსლავის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კატუკოვის, გენერალ-პოლკოვნიკ რიბალკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბეტმანის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ანიკუშკინის, გენერალ-მაიორ დრემოვის, პოლკოვნიკ ჩუბუნკოვის, პოლკოვნიკ არხიპოვის, პოლკოვნიკ ტუტუშკინის ტანკისტებმა; გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვის, გენერალ-მაიორ მამსუროვის, პოლკოვნიკ ბორშჩევის, პოლკოვნიკ ვაშურინის კავალერისტებმა; გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის, გენერალ-მაიორ პუზიკოვის, გენერალ-მაიორ ჩერეკმასოვის, გენერალ-მაიორ პანკრატოვის, გენერალ-მაიორ კრასნოვის, გენერალ-მაიორ ჩერვონის, პოლკოვნიკ ვოლკოვიჩის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ ფროლოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ მისაროდოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კამენსკის, პოლკოვნიკ ოვანესიანის, პოლკოვნიკ ლებედევიჩის, პოლკოვნიკ ოსტანკოვიჩის, პოლკოვნიკ მაზინის, პოლკოვნიკ ორეხოვის, პოლკოვნიკ ხუსიდის, პოლკოვნიკ ცესარის, პოლკოვნიკ რუკოსუევის, პოლკოვნიკ ჟაგალის, პოლკოვნიკ პოკოვის არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ სამოხინის, ავიაციის გენერალ-მაიორ გალუნოვის, პოლკოვნიკ დავიდკოვის, პოლკოვნიკ გერასიმოვის, პოლკოვნიკ გეიბოს მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ გალიცკის, პოლკოვნიკ კამენჩუკის, პოლკოვნიკ ხარჩევის, პოლკოვნიკ ბარაშის, პოლკოვნიკ კოტლიაროვის, პოლკოვნიკ რევიაკინის, პოლკოვნიკ ბერზინის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბულიჩევის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ოხრიმენკოს, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოლკოვნიკ კარდოს, პოდპოლკოვნიკ ზახაროვის, პოდპოლკოვნიკ ლოგინოვის, პოდპოლკოვნიკ რუდენკოს, პოდპოლკოვნიკ ტუნიკის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების პერემიშლისა და იაროსლავის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „პერემიშლის“ და „იაროსლავის“ სახელწოდებათა მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 28 ივლისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები პერემიშლი და იაროსლავი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების პერემიშლისა და იაროსლავის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 28 ივლისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, მარჯვე შემოვლითი მანევრის და ფრონტიდან მიტანილი იერიშის შედეგად, დღეს, 28 ივლისს, დაიკავეს ბელორუსიის საოლქო ცენტრი ქალაქი და ციხე-სიმაგრე ბრესტი (ბრესტ-ლიტოვსკი) — ოპერატიულად დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი.

**ქალაქ ბრესტის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ პოპოვის, გენერალ-პოლკოვნიკ ბელოვის, გენერალ-ლეიტენანტ ლუჩინსკის, გენერალ-ლეიტენანტ ხალიუზინის, გენერალ-ლეიტენანტ რიაბიშევის, გენერალ-ლეიტენანტ ჩანიშევის, გენერალ-მაიორ შვარევის, გენერალ-მაიორ ბატიცკის, გენერალ-მაიორ კორჩაკოვის, გენერალ-მაიორ ტურჩინსკის, გენერალ-მაიორ ტიმოფეევის, გენერალ-მაიორ სოლოვიოვის, გენერალ-მაიორ კირსანოვის, გენერალ-მაიორ რევუნენკოვის, პოლკოვნიკ შაცკოვის, პოლკოვნიკ სიჩევის, პოლკოვნიკ მალკოვის, პოლკოვნიკ კუჩენევის, პოლკოვნიკ მოშალკოვის, პოლკოვნიკ მულოვის, პოლკოვნიკ ნესტერენკოს ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ პლიევის, გენერალ-მაიორ ტუტარინოვის, გენერალ-მაიორ ბოლოვსკის კავალერისტმა ყუბანელებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ კაზაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ეგოროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პეტროპავლოვსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ დმიტრიევის, პოლკოვნიკ სერგეევის, პოლკოვნიკ კირილოვის, პოლკოვნიკ პუხოვის, პოლკოვნიკ პაპის, პოლკოვნიკ ვასილიევის, პოლკოვნიკ კოლოკოლოვის, პოლკოვნიკ ბარმოტინის, პოლკოვნიკ ბონომარენკოს, პოლკოვნიკ კორჩაგინის, პოლკოვნიკ პეტროვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კრივოშეინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ვოლეიკოვის, პოლკოვნიკ კულიკოვის, პოდპოლკოვნიკ პარფენოვის, პოდპოლკოვნიკ სიმონოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ რუდენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბოგინოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ გეორგიევის, ავიაციის გენერალ-მაიორ ჟუსოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ კომაროვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ვოლკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ სჩეტჩიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტატანაშვილის, პოლკოვნიკ რიბაკოვის, პოლკოვნიკ ვინოგრადოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ
არეშვილიაკოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ჟირეოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ვიტვინინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ იოფეს, პოლკოვნიკ აფანასიევის, პოლკოვნიკ პავეშუკის, პოლკოვნიკ ვოროგნოვის, პოლკოვნიკ დობჩინინის, პოლკოვნიკ ანტონოვის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ კლოტკინის, პოლკოვნიკ ჩეხოვის, პოლკოვნიკ ქალტუხოვის, პოლკოვნიკ სტუპაჩენკოს, პოლკოვნიკ კალინიცის მეკავშირეებმა.**

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ბრესტის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ბრესტის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 28 ივლისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალუტს აძლევს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ბრესტი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ ბრესტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 28 ივლისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
28 ივლისის ოპერატიული ცნობა

28 ივლისის განმავლობაში ქალაქ დაუგავპილსის (დვინსკის) ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა განავითარეს შეტევა და ბრძოლებით დაიკავეს 350-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ტილშა, კრისტინინი, ძილიარი, დრიცენი, ვილანი, ვიდსეუიუა, რიბენი, პრეილი, დუბენეცი და რკინიგზის სადგურები საკსტგალა, ლაძუკალნსი, სტრუშანი, ტაიგალა, დრიცენი, კუბრასი, ბურზავა, ვილანი, პუპოლი, სალმენე, პრეზმა, კრაი, სერგუნტა.

ქალაქ დაუგავპილსის (დვინსკის) სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ნიდერკუნი, გრივა, იუდოვკა, იანოვკა, ტარუეკი, ტურმონტი, კუჩავა და რკინიგზის სადგურები გრივა, კურცუმსი, ზემგალე, ტურმანტასი.

ქალაქ შაულიაის ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი იონიშკისი, დიდი დასახლებული პუნქტები ვეკშნიანი, ბიტარი, აუკშტელკი, პოკოკი, სიდორი, ციტოვიანი, შავკოტი, გრინკიშკი და რკინიგზის სადგურები იონიშკისი, ტალიოცი, იანოვიციშკი, დვორნიკი, სიდორი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, მარჯვე შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან მიტანილი იერიშის შედეგად, 28 ივლისს დაიკავეს ბელორუსიის საოლქო ცენტრი ქალაქი და ციხე-სიმაგრე ბრესტი (ბრესტ-ლიტოვსკი)—ოპერატიულად დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი გამაგრებული რაიონი ვარშავის მიმართულებით, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ბრესტის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ვისოკოე, ქალაქი ტერესპოლი, დიდი დასახლებული პუნქტები კლიუკოვიჩი, ბოგრძევა, ბულკა, ზაუეჩე, სტავი, შუმაკი, კუბაჩევო, ბერეზონი, მოკრანი, როკიტნო და რკინიგზის სადგურები ვისოკო-ლიტოვსკი, ტერესპოლი. ჩვენი ჯარები გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის დაჯგუფებას სამი დივიზიის შემადგენლობით ქალაქ ბრესტის დასავლეთით, მდინარე ზაპადნი ბუგთან მიიმწყვდიეს იგი და ბრძოლებს ეწეოდნენ მის მოსასპობად.

ქალაქ ლიუბლინის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა განავითარეს წარმატებითი შეტევა და ბრძოლებით დაიკავეს 300-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სტოჩეკი, ლიატოვიჩი, ცეგლუვი, სენიცა, კოლგელი, კაზიმეჟი, კაზენი და რკინიგზის სადგურები პილიცა, ჟიჩინი, ვოლვოლნიცა, ნიდჟვიცა.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე სანი, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და ტანკების, ცხენოსანი და ქვეითი ჯარის შემოვლითი მანევრის შედეგად დაიკავეს დიდი სარკინიგზო კვანძები და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები—ქალაქი და ციხე-სიმაგრე პერემიშლი და ქალაქი იაროსლავი.

ჩვენმა ჯარებმა ქალაქ ლვოვის რაიონში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ნაწილების ლიკვიდაციისას ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 35 ტანკი, 250 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 420 ნაღმსატყორცნი, 500-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 60 ჯავშანტრანსპორტიორი, 20 სარკინიგზო ეშელონი, 1,000-ზე მეტი ცხენი, აგრეთვე დიდძალი საწყობი სამხარ მასალიანად, საჭურველიანად და სამხედრო ქონებიანად. ტყვედ წამოყვანილია 3,500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 8,000-ზე მეტი გვამი.

ქალაქ სტანისლავის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სტანისლავის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი პერეგინსკო, ქალაქი სოლოტვინი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები დობროვლიანი, ნოვიცა, რუვნია, კრასნა, პოროგი, კრიჩევა, ბანიავა და რკინიგზის სადგური პერეგინსკო.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

27 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 57 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 53 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზის კვანძები ინსტერბურგი, ვარშავა, კრუსტპილსი

27 ივლისს ღამით ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს ინსტერბურგს (აღმოსავლეთი პრუსია), ვარშავასა და კრუსტპილსს. დაბომბილ იქნა გერმანელთა ჯარის ეშელონები და მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობები.

რკინიგზის კვანძ ინსტერბურგში ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია ორი სარკინიგზო შემადგენლობა. დაბომბვის შედეგად გაჩნდა 30-მდე ხანძარი, რომლებიც გაერცელდნენ და რკინიგზის კვანძის მთელ ტერიტორიას მოედნენ. ცეცხლი წაეკიდა საწყობებს. მოხდა რამდენიმე აფეთქება, მათ შორის ერთი აფეთქება უდიდეს ძალისა რკინიგზის კვანძის ცენტრალურ ნაწილში.

ვარშავის გარეუბან პრაგაში რკინიგზის ლინდაგების დაბომბვის შედეგად ვრაველი ხანძარი გაჩნდა. იწვოდა ვაგონები და პლატფორმები, აგრეთვე ეშელონები საწყობებად. ხანძრებს თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

რკინიგზის კვანძ კრუსტპილსში დაბომბვით შეიქმნა რამდენიმე ხანძარი გერმანელთა სამხედრო ეშელონების დიდ შეჯგუფებაში.

* *

ქალაქ დაუგავპილსის (დვინსკის) ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. საბჭოთა ნაწილების დარტყმებით მოწინააღმდეგის შეფეთხილი და დამარცხებული დივიზიები დასავლეთისაკენ იხევენ უკან. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც კვალდაკვალ მისდევენ მტერს, დაიკავეს 350-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, რეზეკნე-დაუგავპილსის რკინიგზა მთელ მანძილზე გაწმენდილია გერმანელთაგან. მოწინააღმდეგის ყველა ცდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების შეტევა მარცხით დამთავრდა. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 126-ე ქვეითი დივიზიის 426-ე პოლკი, წინ წაიწიეს და დაიკავეს რკინიგზის სადგური ტაიგალა. დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 2 ათასზე მეტი თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. გერმანელებს წაგართვეთ 50 ქვემეხი, 30 ნაღმსატყორცნი, 100 ავტომანქანა და 35 სხვადასხვა საწყობი. წამოყვანილია 500-ზე მეტი ტყვე.

* * *

ქალაქ შაულიაის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ავითარებდნენ წარმატებითს შეტევას. დღის განმავლობაში საბჭოთა შენაერთებმა წინ წაიწიეს 30 კილომეტრით და გაანადგურეს მტრის მთელი რიგი გარნიზონები. საბჭოთა ტანკისტები და ქვეითები მდინარე მუჟაზე გადავიდნენ და უეცარი დარტყმით განდევნეს გერმანელები ქალაქ იონიშკისიდან. მოწინააღმდეგეს წაგართვეთ 5 თვითმფრინავი, საწყობი საწყავიანად, ავიაბომბების საწყობი, 4 სარკინიგზო ეშელონი სამკედროდ ერთერთებიანი და 9 ორთქლმავალი. ტყვედ წამოყვანილია 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები, რომლებიც გარს უვლიდნენ ქალაქ ბრესტს სამხრეთ-დასავლეთიდან და დასავლეთიდან, მდინარე ზაპადნი ბუგის სამხრეთ ნაპირზე გავიდნენ. ამით უკანდასახევი გზები მოეჭრა მოწინააღმდეგის ბრესტის დაჯგუფებას, ჩვენი ჯარები, რომლებიც ბრძოლებით მიიწევდნენ წინ ბრესტის მიმართულებით აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან, ქალაქში შეიჭრნენ და ჭეჩებში გამართული გაფოთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს იგი. მარტო ბრესტის მიმადგომებზე მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით დაჰკარგა 3 ათასზე მეტი თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და დაჭეზვარია გერმანელთა 27 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ 6 ორთქლმავალი, 240 ვაგონი საომარ მასალიანად, ეშელონი სურსათიანად და 30 ცისტერნი ბენზინიანად. ბრესტის დასავლეთით ჩვენი ჯარები გარს შემოერტყნენ გერმანელთა სამ დივიზიას. დღეს ჰიტლერელებმა სცადეს გაეღწიეთ გარემოცვის რკალი. გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები ჯიჭურად მოდიოდნენ. ესენი მთლიანი კედლივით მოიწევდნენ ჩვენი პოზიციებისაკენ. საბჭოთა არტილერისტებმა, ნაღმმტყორცნელებმა და მეტყვიამფრქვეველებმა მტერს გრიგალისებური ცეცხლი დაატეხეს თავს. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა და უკან მიაწყდა. ჩვენი ჯარები განაგრძობენ ბრძოლას მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. გერმანელებმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი ლეოფი რომ დაჰკარგეს, სცადეს ფეხი მოეკიდებინათ ძველისძველ ციხე-სიმაგრე პერემიშლში. მოწინააღმდეგემ აქ მოიყვანა 24-ე სატანკო დივიზია და შეუერთებლივ ჩაადგა იგი ბრძოლაში. საბჭოთა შენაერთებმა ჰიტლერელებს დიდი ზარალი მიაყენეს და ქალაქ პერემიშლში შეიჭრნენ. ჩვენმა ტანკისტებმა, კავალერისტებმა და ქვეითებმა გაანადგურეს გერმანელები და დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე პერემიშლი. სწრაფი შემოვლითი მანევრით ჩვენი ნაწილები გარს შემოერტყნენ ქალაქ იაროსლავს. მტრის გარნიზონი ლიკვიდირებულია. ბევრმა გერმანელმა იარაღი დაყარა და ტყვედ დაგვნებდა. ხელთ ვიგდეთ 15 თვითმფრინავი, ბევრი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, 20 სარკინიგზო ეშელონი და დიდი საწყობები სამხედრო ქონებიანად.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სდევნიდნენ უნგრელთა დამარცხებულ დივიზიებს, დაიკავეს ქალაქები პერეგინსკო და სოლოტვინი. წინასწარი ცნობებით, ქალაქ სტანისლავში ხელთ ვიგდეთ 85 ქვემეხი, 27 ნაღმსატყორცნი და 20 საწყობი. ქალაქის მისადგომებზე და მის ჭეჩებში დათვლილია მტრის ორი ათასზე მეტი გვამი.

* * *

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაციამ ჩუდის ტბაში ჩასვირა მოწინააღმდეგის ორი თვითმავალი სადესანტო კარავანი, ოთხი ვშრალი ტვირთის კარავანი და ექვსი ძაბერი.

საბჭოთა იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებანი

ჩვენმა ქვეყანამ ტუშინ ხუთჯერ ჭოისმინა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებები. გუშინ ხუთჯერ დაიგრიალა საზეიმოდ ქვეყნიერებამ სალუტების დიდებულმა მუსიკამ. შესანიშნავი დღეა, ისტორიული დღეა!

ამ დღეს, 27 ივლისს, შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ წითელმა არმიამ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისგან გაათავისუფლა ქალაქები ბელოსტოკი, სტანისლავი, ლვოვი, შაულიაი (შავლი), დაუგავპილსი (დვინსკი), რეზეკნე (რეჟიცა). ბელოსტოკი, ლვოვი, დვინსკი—ესენი არა მარტო დიდი სამრეწველო ქალაქები და დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძებია,—ესენი იყვნენ გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტებიც. ჰიტლერი მოუწოდებდა თავის ჯარისკაცებს დაეცვათ ეს ქალაქები მთელი ძალ-ღონით, მაგრამ გერმანელთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა წითელი არმიის მძლავრი შეტევით.

თვითეული ბრძანება მეტყველებს საბჭოთა შეიარაღების შესანიშნავი გაუმჯობესების, ვითარ ახალი, გასოცარი საგმირო საქმეების შესახებ, ხოლო ყველა ერთად ეს ბრძანებანი ჩვენს წინაშე გადაშლიან წითელი არმიის შეტევის უმაგალითო წარმატებათა სურათს.

ბელოსტოკის განთავისუფლება არის ბელორუსიის მე-2 ფრონტის გამარჯვება გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვის სარდლობით; ლვოვისა და სტანისლავის განთავისუფლება—უკრაინის 1-ლი ფრონტის გამარჯვება საბჭოთა კავშირის მარშალ კონევის სარდლობით; დვინსკისა და რეჟიცის განთავისუფლება—ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის გამარჯვება არმიის გენერალ ეროომენკოს სარდლობით; ქალაქ შავლის განთავისუფლება—უკრაინის 1-ლი ფრონტის გამარჯვება საბჭოთა კავშირის მარშალ კონევის სარდლობით; დვინსკისა და რეჟიცის განთავისუფლება—ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის გამარჯვება არმიის გენერალ ეროომენკოს სარდლობით; ქალაქ შავლის განთავისუფლება—ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის გამარჯვება არმიის გენერალ ბაგრამიანის სარდლობით.

წინადღით, 26 ივლისს, ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშალ ოგოვოროვის სარდლობით გაათავისუფლეს ნარვა; ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის სარდლობით დაიკავეს ციხე-სიმაგრე დემბლინი ვისლაზე.

სიამაყით წარმოსთქვამს ჩვენი ქვეყანა სახელებს შესანიშნავი საბჭოთა სარდლებისას, რომელთაც გამარჯვებისაკენ წარმართავს წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ნებისყოფა და სიბრძნე!

ჩვენ ვხედავთ ეროელ უდიდეს საბჭოთა ფრონტს ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე ერთიან მძლავრ შეტევითს მოძრაობაში. წითელი არმიის გმირი ნაწილები ყველგან წინ მიდიან, ამსგვრევენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, ზედიზედ ურტყამენ მას, გარს ერტყმიან მტერს, ამწყვდევენ მას „ქვაბებში“. განსაცვიფრებელია ჯარების ყველა სახეობის მოქმედების შეთანხმებულობა და ამდენადვე განსაცვიფრებელია ყველა ფრონტის შეთანხმებულობა. მრავალმილიონიანი ჯარების წინამძღოლობის ასეთი ოსტატობა ჯერ არ უნახავს სამხედრო ხელოვნების ისტორიას.

ამაოდ გადმოდიან გერმანელები კონტრიერიშებზე. ამაოდ ეოჭყავს გერმანელთა სარდლობას დამხმარე ძალები, ამაოდ ეწევიან წინააღმდეგობას გარშემორტყმული და მოწყვეტილი გერმანელთა ჯარები და გარნიზონები. ჰეტს გააფთრებული ბრძოლები. ქალაქთა ჭეჩები მოფენილია გერმანელთა გვამებით. ქალაქ ბიალა პოდლიასკისათვის ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში მოსპობილია 4,000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ნარვისათვის ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. სასოწარკვეთილის გაოფებით გვიწევდა წინააღმდეგობას გერმანელთა გარნიზონი დემბლინში. გერმანელთა ყოველი ცდა გამაგრებისა ამსხვრევა წითელი არმიის ძლიერებით.

გერმანელები ცდილობენ აღადგინონ თავიანთი თავდაცვა. წითელი არმია კელავ და კვლავ ამსხვრევს მას მძლავრი დარტყმებით. იგი სულ უფრო და უფრო უახლოვდება გერმანიის საზღვრებს.

ბელოსტოკიდან გამოაცალეს გერმანელებს ... ეწეოლოვანი დასაყრდენი პუნქტი ... ქალაქ ... ძირას. საბჭოთა ... ლვოვის თავზე იმას ნიშნავს, რომ განთავისუფლდნენ პოლონეთის სამხრეთ რაიონებისაკენ მიმავალი დიდმნიშვნელოვანი გზები. ბელოსტოკი-ია და დემბლინი გერმანელები ჰკეტავდნენ გზებს ვარშავისაკენ... აღარ არსებობენ გერმანელთა თავდაცვის ეს ბასტიონები! ახლოა სასიხარულო ჟამი, როცა წითელი არმია პოლონეთის ხალხთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი, დაუბრუნებს პოლონელ ხალხს მის დედაქალაქს!

ასეთია მარტო ორი დღის ბრძოლების შედეგები. ისინი ცხადჰყოფენ წითელი არმიის მარტოსებურ ზრდას, ისინი ცხადჰყოფენ მის გაზრდილ ძალას, ეს ძალა მდგომარეობს საბჭოთა მეომრების მაპაცობაში, უშიშრობაში, გმირობაში, მათ შეუკავებელ მისწრაფებაში—მოსპონ მტერი. ეს ძალა მდგომარეობს მტერზე სრულ და ყოველმხრივ უპირატესობაში. ომის მეოთხე წელს ჩვენი ტექნიკა ამარცხებს გერმანელთა ტექნიკას რაოდენობითაც და ხარისხითაც. ჩვენ უფრო მეტი ტანკი და თვითმფრინავი, მეტი ქვემეხი, ავტომატი, ნაღმსატყორცნი გვაქვს. საშობლისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩვენი ხალხი შრომობს მისი დაცვისათვის გაცილებით უკეთ, უფრო ნაყოფიერად, ვიდრე მონათმფლობელობაზე აგებული გერმანიის ავანტიურა მრეწველობა.

წითელი არმია გერმანელებს ამარცხებს თავისი საომარი ოსტატობით, თავისი ოსტატობით საბჭოური ხელოვნების ყველა დარგში. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ ომის დროს. ომს მოითხოვდა ამხანაგი სტალინი ყველასგან — მებრძოლებისგან, ოფიცრებისგან, ინჟინერებისგან. ამხანაგ სტალინის ბრძანებანი აღნიშნავენ ქვეითი ჯარის ნაწილებს, ავიაციის ტანკისტებს, მფრინავებს, არტილერისტებს, აგრეთვე მეკავშირეებს, მესანგრეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. კომუნიკაციების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი საქმეა სწრაფი წინსვლისას. წითელი არმიის შეტევის შესანიშნავი გეგმაშეწონილობა ამაშიც იჩენს თავს, რომ ზოგი განუხრელად მიჰყვება მოწინავე ნაწილებს. ტრანსპორტის სამსახური უზრუნველყოფს შემტევი არმიების გაბედულ მანევრს.

წითელი არმიის წარმატებებს ასაზრდოებს ერთი მძლავრი წყარო — სამხედრო საქმის დიადი სტალინური სკოლა, ხალხის აღზრდის ბოლშევიკური სკოლა. სხვადასხვა ფრონტების ყველა მოქმედებაში სჩანს ერთი გეგმა, იგი ეკუთვნის წითელი არმიის ხელმძღვანელობას. იგი განახორციელებს ამხანაგ სტალინის ნებას, ასრულებდა რა ამხანაგი სტალინის ბრძანებებს, წითელი არმია მტაცებდა ბრძოლებში. მისი დარტყმები წლიდან წლამდე, კამპანიიდან კამპანიამდე სულ უფრო ძლიერი ხდებოდა. ეს დარტყმები გაიზრდებიან თვიდან თვემდე, კვირიდან კვირამდე, ვიდრე მტერს თავს არ დაატყდება უკანასკნელი გამანადგურებელი დარტყმა.

სტალინური სამხედრო მეცნიერების ძალა იმაშია, რომ იგი შეჩერებისა და დამშვიდების ნებას არ იძლევა. იგი მოითხოვს ყველასგან — სრულყოფილი გახდეს თავის საქმეში, არ იყოყოჩოს, ისწავლოს, განუხრელად იაროს წინ, შეუნელებლად უმჯობესდება ჩვენი იარაღიც. ამხანაგი სტალინი ჩვენი კონსტრუქტორების უშუალო მასწავლებელი და შთამაგონებელია. ჩვენს თვითმფრინავებში, ჩვენს ტანკებში, ყველა სახის საბჭოთა იარაღში ხორცშესხმულია დიდი სტალინის აზრი.

დიდია ჩვენი წარმატებანი. მაშასადამე, ისინი შეიძლება იქნენ და უნდა იქნენ კიდევაც უფრო დიდი. დიდი და ნაყოფიერია ზეული ჩვენი ხალხის ღონისძიებანი ფრონტისადმი დახმარებისათვის. მაშასადამე, ისინი შეიძლება იქნენ და უნდა იქნენ კიდეც უფრო მნიშვნელოვანი. მტრის წინააღმდეგობა გაიზრდება იმის მიხედვით, რაც უფრო მიუახლოვდებიან ჩვენი ჯარები გერმანიის საზღვრებს. რაც ოფრო შეგნებული აქვს მტერს თავისი განწირულება, მით უფრო გაშმაგებით გვიწევს იგი წინააღმდეგობას. სახიფათო იქნებოდა ყოველგვარი გულდამშვიდება ჩვენის მხრივ. ჩვენ უნდა ვიმუშა

ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეფასებით

ამხ. პ. ა. შარიას მოხსენება

27 ივლისს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული **მარქს-ენგელს-ლენინის** ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დიდ კონფერენცდარბაზში ქალაქის პროპაგანდისტებისა და ინტელიგენციისათვის შესდგა ამხანაგ **პ. ა. შარიას** მოხსენება თემაზე: „ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეფასებით“.

ლენინ-სტალინის პარტია,—ამბობს ამხ. შარია,—ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს თეორიას, რომელიც მატერიალური ძალა ხდება, როდესაც იგი მასებს ეუფლება.

დიდი სამამულო ომის ვითარებაში განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის — ბოლშევიკური პარტიის ყოვლისმძლე იარაღის ძალა. გენიალურმა სტალინურმა წინასწარხედვამ ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა ომის მსვლელობაში, წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებებში.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იმ შეცდომებზე, რომლებიც დაშვებულია „ფილოსოფიის ისტორიის“ III ტომში გერმანული ფილოსოფიის ისტორიის გაშუქებაში.

ჰეგელის დიალექტიკა მარქსისტულ-დიალექტიკური მეთოდის ყველაზე უფრო უშუალო წანამძღვარი იყო.

მაგრამ ამავე დროს ჰეგელის ფილოსოფია ობიექტი იყო ულმობელი კრიტიკისა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მხრივ.

მარქსმა და **ენგელსმა** უკუაგდეს ჰეგელის იდეათა მისტიკა, ულმობლად გააკრიტიკეს ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციული მხარე.

ლენინი აცხადებდა: „მე საერთოდ ვცდილობ ჰეგელი მატერიალისტურად ვიკითხო“.

იმხანაგმა **სტალინმა** თავის კლასიკურ ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ მოგვცა იდეალისტური, მეტაფიზიკური კონცეფციების გამანადგურებელი კრიტიკა, მოგვცა ჰეგელის დიალექტიკის ნამდვილად მეცნიერული შეფასება და ჩამოაყალიბა მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნები.

ამხ. შარია დაწვრილებით შეჩერდა შეურიგებელ წინააღმდეგობაზე ჰეგელის მეთოდის შედარებითს რევოლუციურობასა და მთლიანად მისი სისტემის რეაქციულობას შორის და ხაზი გაუსვა იმას, რომ „ფილოსოფიის ისტორიის“ მესამე ტომის ავტორებმა ვერ მოახერხეს კონკრეტულად ეჩვენებინათ ეს წინააღმდეგობა.

ჰეგელი ბევრ შემთხვევაში თავისი საკუთარი იდეალისტური დიალექტიკის ღალატის ფასადაც კი ცდილობდა გაემართლებინა მაშინდელი გერმანიის სინამდვილე, უწინარეს ყოვლისა, ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ის პრუსიული კონსტიტუციური მონარქიის საზიზღარი ნიშნები.

ამხ. შარია შეჩერდა ჰეგელის სისტემის ზოგიერთ ნაწილზე: ისტორიის ფილოსოფიაზე, სამართლის ფილოსოფიაზე და, ნაწილობრივ, ფილოსოფიის ისტორიაზე.

მოიყვანა რა ცალკეული ადგილები ჰეგელიდან და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მიერ გამოთქმული მთელი რიგი აზრები, მომხსენებელმა ცხადჰყო ჰეგელის სახელმწიფოს თეორიის წათესაობა ფაშისტ ბნელეთის მოციქულთა „თეორიასთან“.

ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის კონცეფციამ ბევრი რამ მისცა ფაშიზმის „თეორეტიკოსებს“.

ჰეგელი „გამორიცხავდა“ ისტორიიდან სლავ და ანგლო-საქსურ ხალხებს, და „ამტკიცებდა“ გერმანელი ხალხის მსოფლიო ჰეგემონიის უფლებას.

ბოლოს, ფილოსოფიის ისტორიის დარგში, სადაც ჰეგელმა ბევრი რამ დადებითი მოგვცა მისი შინაგანი ლოგიკური და ისტორიული კავშირის ჩამოყალიბების მხრივ, ჰეგელი აშკარა დამახინჯებებს უშვებდა თავისი იდეალიზმის სასარგებლოდ, რამაც მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია **ლენინის** მხრივ.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა უკუაგდეს ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციული სისტემა და თავიანთი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის შექმნისას გამოიყენეს ის პროგრესული რამ, რასაც ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი შეიცავდა. ეს მეთოდი მათ ძირიანად გადაამუშავეს.

ლენინ-სტალინის პარტიამ, რომელიც ყოვლისმძლე მარქსისტულ-ლენინური თეორიით ხელმძღვანელობს, ხალხი მიიყვანა გამარჯვებამდე, საბჭოთა წყობილების შექმნამდე და ამჟამად ძლევამოსილ ბრძოლას ეწევა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოოდ განადგურებისათვის.

ჩვენი კადრების ამოცანაა—დაუღალავად ისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, ღრმად ჩასწვდნენ ფილოსოფიის საკითხებს, აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური დონე.

ამხ პ. ა. შარიას ვრცელი, საინტერესო მოხსენება აუდიტორიამ დიდი ყურადღებით მოისმინა.

ყურადღება კოლმეურნეობებში შრომის მოწესრიგებას

მცხეთა („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). ამ უკანასკნელ ხუთდღიურში კოლმეურნეობებმა საგრძნობლად გააძლიერეს მოსავლის აღების ტემპები. 20 ივლისისათვის მოსავალი აღებული იყო 4.447 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 5.909 ჰექტარისა. სოფელ ხატახტარის ბუდიონის სახელობის და მცხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა უკვე დაამთავრეს მოსავლის აღება და შეუდგნენ ლეწვას. ორგანიზებულად იღებს მოსავალს წეროვის კოლოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვლ. ახალაშვილი) და აწარმოებს ლეწვასაც. კოლმეურნეობები პირველ განალეწა ამბარებენ სახელმწიფოს. 22 ივლისამდე სახელმწიფოს ჩაბარდა 190 ტონაზე მეტი მარცვლეული.

მაგრამ რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში სერიოზული ჩამორჩენაა ლეწვის მხრივ. გალეწილია მხოლოდ 973 ჰექტარის მოსავალი. სოფელ ძეგვის ეკაკიის სახელობის კოლმეურნეობამ 223 ჰექტარიდან მოსავალი აიღო 119 ჰექტარზე, ხოლო ლეწვა 21 ივლისსაც არ ჰქონდა დაწყებული. მარცვლეულის აღებაში გაჭიანურ სასოფლო საბჭოც ჩამორჩება, გეგმით მოსავალი აღებულ უნდა იქნას 635 ჰექტარზე, აღებულია 145 ჰექტარზე.

ვაკეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ მოსავლის აღება დაამთავრა, მაგრამ დინაკარგების წინააღმდეგ აქ ცოდად ებრძვიან. მტს-ის გვერდით მდებარე ნაცვეფგბში საგრძნობი რაოდენობით შეხვდებით თაუთავებს. ზოგ ადგილს ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე 45 თავთავი აღმოჩნდა, ზოგან—29. ამ ნაკვეთში 21 ივლისს პირუტყვის ჯოგი სძოვდა და თავთავები გათელილი იყო. სოფელ გოროგნის კეკოველის სახელობის კოლმეურნეობაში მარცვლეულის აწონვა და საწყობისათვის ჩაბარება უწესოდ სწარმოებს. მტს-ის მწონავი ქ. გომუთრაშვილი ბუნკერიდან გადმოცლილი მარცვლეულს წონას მხოლოდ ნაგლეჯ ქაღალდზე რნიშნავს კოლმეურნეობის ბრიგადირი კ. ბალულაშვილი კი წონას ხან ინიშნავს და ხან არა. მარცვლეული საწყობში ზედნადების გამოუწერლად იგზავნება. მწონავი გომუთრაშვილი საღამოს კოლმეურნეობის შენობაში აჯამებს ჩანაწერებს, შემდეგ ერთად გამოსწერს ხოლმე ზედნადებს და მაშინ აწერინებს ხელს საწყობის გამგეს. ამ დამახინჯებას კოლმეურნეობის გამგეობა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხედავენ, მაგრამ რატომღაც ურიგდებიან.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვხვდებით რგოლების მეხბედვით აღრიცხვისა და შრომადღეების დარიცხვის მოუწესრიგებლობას. მცხეთის რაიმიწგანი სუსტად ხელმძღვანელობს ამ საქმეს. რაიმიწგანის ინსტრუქტორ-ორგანიზატორები ნაკლებ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს მოსავლის აღებისას შრომის მოსაწესრიგებლად.

საჭიროა რაბონის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დასახონ ზრაქტიკული ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს დღეებში გამოსწორებისათვის.

ნ. ჯანჯღავა

მოსავლის აღება

(საქმიწსახკომის 25 ივლისის ცნობები)

რაიონები	აღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლი პროცენტებით	გალეწილია მოსავლი პროცენტებით	რაიონები	აღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლი პროცენტებით	გალეწილია მოსავლი პროცენტებით
აჭარის ასსრ	100,0		კასპი	67,0	17,5
ქუთაისი	100,0	27,9	ბორჯომი	6,8	17,5
სამტრედია	100,0	100,0	დუშეთი	31,8	34,4
შაიკოვსკი	41,3		თეთრი წყაროო	30,9	47,2
ჭიათურა	91,1		გურჯაანი	92,3	30,6
საჩხერე	11,1		სიღნაღი	82,4	69,6
ორჯონიკიძე	9,1		წითელწყაროო	100,0	74,7
ამბროლაური	14,1	1,9	თელავი	94,7	24,4
ონი	4,4		ყვარელი	100,0	44,6
ცაგერი	11,0		ლაგოდეხი	100,0	39,1
ახალციხე	44,6	5,0	თბილისი	72,1	47,8
ადიგენი	17,8	6,8	მცხეთა	79,0	22,4
ასპინძა	14,8	9,1	ყარაია	100,0	66,7
ხაშური	52,0	24,4	ბორჩალო	80,3	54,7
გორელი	40,9	35,8	ბოლნისი	90,9	15,0
გორი	63,6	24,2	საგარეჯო	66,9	52,0

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ, განიხილა რა ჟიურის მიერ წარმოდგენილი შედეგები 1944 წლის II კვარტალში საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრებისა, ელექტროენერგიის მომჭირნეობის და სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს „ფი“) გაუმჯობესების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო შემდეგი საწარმონი:

ამიერ-კავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილება, რომლის უფროსიც არის ამხ. ლოგუა და ენერგომომარაგების სექტორის უფროსი ამხ. ბადრიშვილი. განყოფილებას დარჩა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი დროშა და მიეცა პირველი პრემია.

მეორე პრემიები მიეცათ:

სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატს, რომლის დირექტორიც არის ამხ. ჯანაშია და ენერგეტიკოსი ამხ. მესხია;

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფოთის მაცივარს, რომლის დირექტორიც არის ამხ. ხუსიდი, ხოლო მთავარი ინჟინერი და ენერგეტიკოსის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. კლემენტიევი.

მესამე პრემიები მიეცათ:

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკას, რომლის დირექტორიც არის. ამხ. ჩადრანავი და ენერგეტიკოსი ამხ. აკოფოვი;

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის აბრეშუმკომბინატს, რომლის დირექტორიც არას ამხ. თოთიბაძე და ენერგეტიკოსი ამხ. მაღლაკელიძე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აღნიშნა ელექტროენერგიის მომჭირნეობის და სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს „ფი“) გაუმჯობესების დარგში ღონისძიებათა ჩატარების მხრივ შემდეგი საწარმოების კარგი მუშაობა:

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ავჭალის ჩაის საწონი ფაბრიკისა, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ტრესტ „ჭიათურის მარგანეცისა“, საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკისა, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკისა და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის მაცივარისა.

მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

პირველ ადგილზე ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამგზავრო სადგურების კოლექტივებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ივლისის ორ დეკადაში გამარჯვება მოიპოვა თბილისის სამგზავრო სადგურის კოლექტივმა (სადგურის უფროსი ამხ. დ. ასათიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. მაისურაძე).

ივლისის მეორე დეკადაში თბილისის სამგზავრო სადგურზე სანიმუშოდ მოაწყვეს მატარებლების მიღება-გაგზავნა, წესრიგში მოიყვანეს საისრე მეურნეობა, კარგად იცავდნენ სისუფთავეს და გაუმჯობესეს მგზავრთა მომსახურება.

ხაშურელთა საჩუქრები

ხაშური („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ხაშურის საელმავლო დეპომ (უფროსი ამხ. დ. კაკაბაძე) ივნისში ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე დაიჭირა პირველი ადგილი და მიიღო გზის გარდამავალი წითელი დროშა. გზის გარდამავალი დროშა მიიღეს აგრეთვე საორთქლმავლო დეპომ (უფროსი ამხ. გ. თომაძე) და ენერგომომარაგების ხაშურის უბანმა (უბნის უფროსი ამხ. ნ. წერეთელაშვილი). ამ უბანს მაისში საბჭოთა კავშირის მსუბუქი მესამე ადგილი ჰქონდა მოპოვებული და 10.000 მანეთი ფულადი ჩრემია მიიღო.

ამჟამად აღნიშნულ საწარმოთა კოლექტივები ენერგიულად ემზადებიან რკინიგზელის საკავშირო დღისათვის. აღსანიშნავია, რომ ენერგომომარაგების ხაშურის უბნის კოლექტივმა შინარეულობების ფართოდ გამოყენებით მიმდინარე წელს 160.000 მანეთის ეკონომია მიაღწია.

საელმავლო და საორთქლმავლო დეპოების კოლექტივებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება არასამუშაო საათებში აღადგინონ ფრონტზე ოაზიანებული ორთქლმავლები. ივნისში მათ მიერ აღდგენილია 4 ორთქლმავალი. ამჟამად მიმდინარეობს ორი ორთქლმავლის აღდგენა. ერთ მათგანს აკეთებს საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდული ბრიგადა, ხოლო მეორეს — საელმავლო დეპოსი.

მ. კალანდაძე

რკინიგზელები გამოდიან კვირაობაზე

თბილისის სამგზავრო სადგურზე დაიწყო კვირაობა სადგურის სანიმუშო წესრიგში მოსაყვანად. კვირაობაში, რომელიც სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ტარდება, მონაწილეობას ღებულობს 800-ზე მეტი რკინიგზელი. კვირაობის პირველი დღე წარმატებით ჩატარდა. ამ დღეს 150-ზე მეტი კაცი მუშაობდა. რკინიგზელებმა ვაასუფთავეს სადგურის ეზო, შეა ოუ და წესრიგში მოიყვანეს საისრე მეურნეობა, სალიანდაგო მეურნეობა და სხვ.

ახალგაზრდულ ბრიგადებს ყოველდღიური დახმარება

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში მარტიდან არსებობს ახალგაზრდული ბრიგადები. აჭარამად მათი რიცხვი 13-ს აღწევს.

ბრიგადების მუშაობის ანალიზიდან სჩანს, რომ მათი საწარმოო მაჩვენებლები თვიდან თვემდე უარესდება. ამას ადასტურებს ასეთი ფაქტი: მარტში ყველა ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა დავალება, ხოლო ლენინის სახელობის მაღაროს პირველი უბნის ახალგაზრდულმა ბრიგადამ ყველას გადაწყრა და მიიღო პირველი პრემია 5.000 მანეთის რაოდენობით. მაისის შედეგების შეჯამებისას კი ეიური იძულებული გახდა პირველი პრემია არც ერთი ბრიგადისათვის არ მიეცა, რადგან საამისო მაჩვენებლები არ იყო. ივნისში პირველი პრემია მიიღო არა მაღაროში მომუშავე რომელიმე ბრიგადამ, არამედ ამხ. კ. დეკანოიძის ბრიგადამ, რომელიც სამსხმელო საამქროს მშენებლობაზე მუშაობს. მდგომარეობა თითქმის უცვლელია იულისშიც.

რას გვიჩვენებს ყველაფერი ეს? იმას, რომ ახალგაზრდულ ბრიგადებს სუსტად ეხმარებიან და ხელმძღვანელობენ მაღაროთა სამეურნეო, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ვინსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სტალინის სახელობის მაღაროს ახალგაზრდულ ბრიგადებზე. აქ 5 ბრიგადაა, მაგრამ გეგმას ვერც ერთი ვერ ასრულებს. მათ მარტო ივნისში დააკლეს ქვეყანას 1.447 ტონა მარგანეცი. ამ მაღაროში ბრიგადების დაკომპლექტებასაც არ ექცევა სერიოზული ყურადღება. ამხ. რ. ხვედელიძის ბრიგადაში ნაცვლად 13-სა 15 მუშაა. ამით აიხსნება, რომ ამ ბრიგადამ შრომის ნაყოფიერების გეგმა მხოლოდ 59,1 პროცენტით შეასრულა. ასეთივე მდგომარეობაა ამხ. ივ. მიქაცაძის და ა. გურულის ბრიგადებში.

ახალგაზრდულ ბრიგადებს მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა სჭირდებათ. კომკავშირი მათ განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოეპყრას, რადგან ეს მისი სისხლხორცეული საქმეა.

ჭ. ჭიოკაძე

საუკეთესო საგყეო-სამრეწველო მეურნეობა საქართველოში

შესანიშნავად იმუშავეს და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ივნისში ხეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მეშუბეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა (დირექტორი ს. ჯღარკავა, პარტორგანიზაციის მდივანი დ. ახობადე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე შ. კოდუა). საერთო პროდუქციის გამოშვების თეიური დავალება მათ შეასრულეს 126,8 პროცენტით, ხე-ტყის დამზადებისა—134,9 პროცენტით და ტყიდან შეშისა და მერქნის გამოზიდვისა—114,5 პროცენტით.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატში მიღებულია ცნობა, რომ ივნისში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ხეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის კოლექტივს სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში მეორე ადგილი მიაკუთვნეს და მეორე პრემია მისცეს.

ხეთელებმა საქართველოს საუკეთესო სატყეო-სამრეწველო მეურნეობის სახელი მოიპოვეს.

მოქმედი არმია. საბჭოთა მეავტომატეები გადადიან წყლის ზღუდეზე ავტომობილ-ამფიბიებით.

ფოტო ლ. ველიკანინისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

დეპეშები

გერმანიის ამბები

ჟენევა, 27 ივლისი (საკადესი). როგორც ჰიტლერულმა სააგენტომ ტრანსოცეანმა გადასცა, ბერლინში გამოცხადებულია იმ გენერლების გვარები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ 20 იულისს შეთქმულებაში: ინფანტერიის გენერალი ოლბრიხტი, გენერალ-პოლკოვნიკი ბეკი, გენერალ-პოლკოვნიკი გეპნერი.

იმავე სააგენტომ გადასცა ოფიციალური ცნობა, რომ გენერალ-პოლკოვნიკმა ბეკმა თავი მოიკლა, ხოლო გენერალ-პოლკოვნიკი გეპნერი დაპატიმრებულია და განაჩენს ელ

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 27 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა შემტევი სატანკო ნაწილები განაგრძობენ სწრაფ წინსვლას დასავლეთ სექტორში, ერთმა კოლონამ გადასჭრა სენლო-პერრსის გზა ლე მესნილ ერმანის ახლოს. მეორე კოლონამ 4 მილით წაიწია წინ კანიზის სამხრეთ-დასავლეთით. მესამე კოლონამ რამდენადმე წაიწია წინ მარინიის დასავლეთით კუტანსს მიმავალ გზაზე. მდინარეებს სევსა და ეს შუა ჩვენმა ნაწილებმა, რომლებმაც დაახლოებით 2.000 იარდით წაიწიეს წინ, გადასჭრეს პერიე-ლესეს გზა.

26 ივლისს ღამით მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის ძლიერი კონტრიერიში ვერიერის რაიონში.

კანის სექტორში მოწინააღმდეგეს შემდგომი იერიშები არ მოუტანია.

ლონდონი, 28 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს დილით გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

ფრონტის დასავლეთ სექტორში მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ სწრაფ წინსვლას მარინიის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ამასთან მიაღწიეს კამპრონისა და სერიზ-ლა-სალის გარეუბნებს. სხვა ნაწილებმა წინ წაიწიეს პერიეს სამხრეთით. ხელთ ვიგდეთ ტერიტორია კომონის დასავლეთით. ჩვენს ჯარებს მტკიცედ უკავიათ თავიანთი პოზიციები კანის სამხრეთით. მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი ცდა გადმოსულიყო კონტრიერიშებზე მოგერიებულ იქნა ჩვენი არტილერიისა და ავიაციის ცეცხლით.

ავიაციის მოქმედება ევროპაში

ლონდონი, 27 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა ავიაციის აქტიურ დახმარებას უწევდა სახმელეთო ჯარებს ბოელი 27 ივლისის განმავლობაში მთელ ფრონტზე, ერთეული კვლავ ესხმოდა თავს მოწინააღმდეგის ობიექტებს.

ლონდონი, 28 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

დასავლეთ სექტორში ჩვენმა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ ლესე-კუტანსის გზის გასწვრივ. შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს მდინარეს ორივე ნაპირის გასწვრივ და კორბეიშონსა რაიონს მიაღწიეს. აღნიშნულია წინსვლა მარინის დასავლეთით კუტანსის გარეუბნებამდე. მოკავშირეთა ჯარებმა განვლეს ნოტდამ-დე-სენლი და განაგრძობენ წინსვლას გზის გასწვრივ სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ერთმა ნაწილმა გაიარა მოპერტიუ პერრიერდილეთით. ჩვენი ჯარები, რომლებმა დაიკავეს ტესი-სიურ-ვირი, წინ მიიწევენ გზის გასწვრივ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით და ჰავრედან 11 კილომეტრზე მდებარეებიან. სენ-ლოს და კომონის შუა მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა პოზიციები გაიუმჯობესეს.

ავიაცია დახმარებას უწევდა სახმელეთო ძალებს და მოქმედებდა მტრის ჯარების, ჯგუფებთა წინააღმდეგ. გზატკეცილებზე მსუბუქმა და საშუალო ბომბდამშენებმა დარტყეს რკინიგზებს, რომლებიც პარიზიდან მონტარგში, დიეპონში, მულენში, ტურსა და რუანში გადიან.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 28 ივლისი (საკადესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა მტკიცე პოზიციები დაიკავეს ვენარე მიზას ნაპირზე და იბრძვიან ფლავ სენიგალიის გარეუბნებში, ამასთან მიწინავე რაზმები მდინარეზე გადავიდნენ. ადრიკის მე-5 არმიის ფრონტზე პატრულებმა მოქმედებენ და საარტილერიო სროლა იყო.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ დაახლოებით 2.000 თვითმფრინავგადაფრენა მოახდინა.

წუხელ ბომბდამშენები თაეს დაესხნენ სამხედრო ობიექტებს პლოეშტში.

მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა ბოლოეშტის

ლონდონი, 28 ივლისი (საკადესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბთან მყოფი რეიტერის საგენტის კორესპონდენტი იუწყება, რომ დღის „მორნინგ ს